№ 112 113

კვირა, 29 მაისი 1894

1877—1894

# ივერია

№ 113

კვირა, 29 მაისი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | | მან. კ. | თვე | | მან. კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | . . . | 10 — | 6 | . . . | 6 — |
| 11 | . . . | 9 50 | 5 | . . . | 5 50 |
| 10 | . . . | 8 75 | 4 | . . . | 4 75 |
| 9 | . . . | 8 — | 3 | . . . | 3 50 |
| 8 | . . . | 7 25 | 2 | . . . | 2 75 |
| 7 | . . . | 6 50 | 1 | . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:** და განცხადებათა დასაბეჭდად ანდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—!ასახ. ლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადების:** ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**ანნა ანდრიას ასული ლორის მელიქოვისა**, ვაჟიშვილი მისი **ივანე ზაქარიას ძე** და **ქალიშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და ამხანაგთ გარდაცვალებასა პირველი ქმრისას და დანარჩენნი მამისას თვისისას სამსახურ გარეშე მყოფ პოლკოვნიკის **ზაქარია დანიელის ძის ლორის-მელიქოვისას** და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსასვენებლად კვირას, 29 მაისს, დილის 9 საათზედ, საკუთარის სახლიდგან (ბაღის ქუჩა, 25) მონინის საყდარში. პანაშვიდი გადახდილ იქნება შაბათს, საღამოს 7 საათზედ. (2—2)

დამზღვევი საზოგადოება

## „იაკორი“

(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

### დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

### დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომელიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2.

(50—1234—4)

მოსკოვის ურთიერთთა შორის ჭირნახულის სეტყვისაგან

დამზღვეველ საზოგადოების

## წარმომადგენელისაგან

კავკასიაში ვენახების პატრონების სურვილისა თანახმად, რომელთაც მოინდომეს თავიანთ ვენახების დაზღვევა, **მოსკოვის დამზღვეველ საზოგადოებამ** გადასწყვიტა შეუდგეს დაზღვევას საუკეთესო მოსავლისას, (ვენანისა, სვიისა, თამბაქოს და ბამბის პლანტაციებისა და სხვ). და თავისი გახყოფილებაც დააარსოს ტფილისში, თუ დასაზღვევი ფული აიწევს 500,000 მანეთამდე და თუ ამ ფულიდგან დაზღვევის დასაწყებად შემოტანილ იქნება ხსენებულ ჯამის 3% საწევრო გადასახადისა (მე-40 § ი წესდებისა).

რადგანაც ძალიან ახლოვებულია ჭირნახულის გამანადგურებელ სეტყვის დრო, ამიტომ მოვიწვევ ბ-ნთ ბაღ-ვენახების პატრონთ, რომელთაც თავიანთ მამულების დაზღვევის სურვილი უკვე აღიარეს და ჯერ არ შემოუტანიათ განცხადება, რომ დააჩქარონ შემოტანა საწევრო ფულისა, რომლის გადახდის შესამსუბუქებლად ვადა არის დანიშნული და შეუძლიანთ 4—8 წლამდე ნაწილ-ნაწილად გადახდა, შემოსატან ფულის რაოდენობისდა გვარად.

საწევრო ფულს ვიღებ თვით მე, ვაძლევ წესდებასა და ბლანკებს და აგრეთვე ყოველსავე საჭირო განმარტება-ახსნას საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების კანცელარიაში ყოველ დღე, დილის 10—12 საათამდე, კვირა-უქმეებს გარდა, აგრეთვე „სევერნი ნომრებში“ 2—4 საათამდე.

აქავე შეიძლება დაზღვევაც ნათესობისა. საწევრო ფულს იღებენ აგრეთვე ამ საზოგადოების აგენტები.

დამზღვეველ საზოგადოების წარმომადგენელი, ინსპექტორი

პ. მ. ოკულიჩი

(10—1177—10)

ქართული თეატრი

კვირას, 29 მაისს,

ქართული არტისტების ამხანაგობისაგან ვ. ალექსიევ-მესხიშვილის და კ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება:

### და-ძმა

დრამა 5 მოქმედებად, ვალ. გუნიასი.

მოთამაშენი: ქნ. ავალიშვილისა, ტარიელოვისა ვ. ალექსეევ-მესხიევი, კ. ყიფიანი, გედევანოვი, შათირიშვილი, გუნია, კანდელაკი და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.

ტფილისის სამუსიკო კრუჟოკის

საზაფხულო სადგომში

მიხეილის ქუჩაზედ იუნკრის სასწავლებლის პირდაპირ

კვირას, 29 მაისს

გამართავს

### საღამოს

კ. ს. **ცხომელიძე**

არტისტი ნ. ა. მიაზის

და ქ. პ. ვ. კერნერის, მ. ე. ივანოვის, ვ. პ. სმირსკის, ი. ნ. ბოლომოლოვის და ი. პ. ფალიაშვილის და სხ. მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

### მასკოტა

კომიკური ოპერა 2 აქტ. მუს. ოდრანისა

ბეტინას როლს შეასრულებს

**პ. ვ. კერნერი**

II

მხიარული ცხენოსანი

„წევრნი საბჭოსი“

სცენები, მონოლოგი და კუპლეტები. მუს. ფრ. ზუპპესი.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ

წარმოდგენის შემდეგ

### ცეკვა

ადგილების ფასი 2 მან. 10 კაპეიკი დგან 55 კაპეიკამდე.

ის სტუმარნი, რომელთაც წევრნი მოიყვანენ, შესასვლელ ფასს არ გადაიხდიან.

ბილეთების სყიდვა შეიძლება კრუჟოკის კარის-კაცთან.

## ტფილისი, 29 მაისს

26 ამ თვეს დასრულდა ჩვენის სათავად-აზნაურო ბანკის კრება; მაგრამ დასრულდა ისეთის სათაცარის აპოთეოზით, რომლის მსგავსი ჩვენ არა გვინახავს-რა.

უკანასკნელი დღე დანიშნული იყო საგანგებოდ იმისთვის, რომ კრებას ამოერჩია კომისია, რომელიც გაარჩევდა თავადის მაჩაბლისა და ჭავჭავაძის ბრალდებას ურთიერთ შორის საბანკო საქმეების შესახებ.

საჭიროება ამ გვარის კომისიისა გამოწვეული იყო თავადის მაჩაბლისაგანვე, რომელმაც უსაყვედურა თავადს ილია ჭავჭავაძეს, სამართალში გამოგითხოვე და არ გამომყავო. მაშინ თავადმა ჭავჭავაძემ მოსთხოვა კრებას კომისიის დანიშვნა და საწადელი თავადის მაჩაბლისა დაკმაყოფილებულ იქნა. მთელი კრება აღტაცებით მიეგება ჩვენის პოეტის სიტყვებს და დიდხანს არ შეწყვეტილა „ვაშა“, „ვაშა“-ს ძახილი და ტაშის ცემა.

მაგრამ განსხვავებით აღტაცებული შეიქნა ის დასი, რომელიც ხან „ოპოზიციას“ უძახის თავის თავს და ხან უთავო დასს. თავადი ივანე მაჩაბელი ბრძანდებოდა პირველი, რომ კინაღამ ხელები დაიმტვრია ტაშის ცემით, როდესაც ილია ჭავჭავაძემ კომისიის დანიშვნა მოითხოვა კრებისაგან. ყოველი ესე ჩაწერილია ოქმში და არ გვგონია, რომ ამის უარყოფა შესაძლებელი-ღა იყოს!

ასეთს ჭკუასა და ხასიათზედ იდგა ეს „ჭირვეული“ დასი, კენჭის ყრის რამდენისამე დღის წინად, ე. ი. იმ ჟამამდე, სანამ გამოურკვეველი იყო თითოეულის დასის ძალ-ღონე.

მაგრამ უყარეს რამდენჯერმე კენჭი სხვა-და-სხვა საგანს და დასებმა შეადგინეს დაახლოვებით ჭეშმარიტი აზრი თავის ძლიერების შესახებ. ამ დროდან იწყება მეცადინეობა „ჭირვეულთა“, რომ კომისია სამედიატორო სამსჯავროდ გადაექციათ. მაგრამ სრული უარყოფა მათგან თავად-აზნაურთა კრების მიერ არჩეულ კომისიისა გამოაშკარავდა უკანასკნელს დღეს, რომელიც მხოლოდ იმისთვის იყო დანიშნული, რომ კომისია აერჩიათ. ვისაც ეს კომისია ბრალეულად იცნობდა, იმას თავი უნდა დაენებებინა, არა თუ ბანკის სამსახურისა, არამედ საერთოდ საზოგადო მოღვაწეობისათვის. ამ გვარად იგი უნდა დასჯილიყო ნამდვილის სამოქალაქო სიკვდილით და ამიტომ თანხმობის გამოცხადებამდე გონიერება მოითხოვდა, კარგად და კარგად დაფიქრებას.

მაგრამ ეს სიფრთხილე დააკლდა თავადს ივანე მაჩაბელს და იძულებული იყო უკან წაელო თავის საქვეყნოდ ნათქვამი თანხმობა კომისიის დანიშვნის შესახებ. საბუთად თავისის ასეთის საქციელისა თავადმა მაჩაბელმა ის გარემოება დაასახელა, რომ ამ საზოგადო კრების მიერ ამორჩეულს კომისიას მე ვერ ვენდობიო.

შეძრწუნებული საზოგადოება ფეხზე წამოდგა და თავმჯდომარემ საჭიროდ დაინახა იმ წამსვე დაეხურა კრება.

მაგრამ საქმე ამითი არ გათავდა და აპოთეოზი, რომლითაც დასრულდა წრევანდელი საბანკო კრება, თურმე წინ იყო.

იმ დროს, როდესაც საზოგადოებაში საშინელი არეულობა შეიქნა, მთელის კრების ყურადღება მიიქცია ერთმა თეთრით მოსილმა მანდილოსანმა, რომელიც წამოდგა ლოჟაში და მიჰმართა თავმჯდომარეს, თავადს ანდრონიკაშვილს შემდეგის სიტყვებით: „მაშ თ ვადი ივანე მაჩაბელი უარ ჰყოფს თავის სიტყვას, რომლითაც იგი თანხმა იყო კომისიის დანიშვნას?

— „დიაღ, თავადი ივანე მაჩაბელი ახლა უარ-ჰყოფს კომისიას“. მაშინ ამ საპატიო მანდილოსანმა გამოაცხადა, რომ „ჩემის ღირსებისათვის შეუფერებლად მიმაჩნია ამის შემდეგ თავად მაჩაბელთან ერთად სამსახური და ამიტომ თავს ვანებებ სკოლის კომიტეტს, რომლის თავმჯდომარის ამხანაგად ამომირჩია კრებამაო“. გაცხარებული ტაშის ცემა და «ვაშა ვაშა»-ს ყვირილი იყო პასუხად ამ სიტყვებისა. შემდეგ ბატონმა წინამძღვრიშვილმა განაცხადა, რომ ამავე მიზეზით ისიც იძულებულია სკოლის კომიტეტს თავი დაანებოს. საზოგადოებამ ეს სიტყვებიც ტაშის ცემით მიიღო.

ყოველი ესე მოხდა იმის შემდეგ, რაც თავადი ილია დიდის უმრავლესობით იქნა არჩეული. უეჭველია კენჭის ყრის შედეგმა შიში აღუძრა თავადს მაჩაბელს და კომისიაზე უარი ათქმევინა.

მაგრამ დაგვერწმუნოს „ჭირვეულთა“ დასის წინამძღოლი თავადი მაჩაბელი, საქართველოს თავად-აზნაურობა ისე არ დამცირებულა, რომ ვისიმე გაშავებით ან გათეთრებით ცხადი სიმართლე უარ-ჰყოს და სიყალბე ჭეშმარიტებად აღიაროს.

მაშ რისი შეეშინდა თავადს მაჩაბელს? ნუ თუ ილია ჭავჭავაძის გათეთრებით ჩვენმა თავად-აზნაურობამ დაჰკარგა ყოველი სამართლიანობის გრძნობა და იმის განაჩენი აღარ არის პატივსაცემელი? ჩვენ გვგონია, რომ ბ-ნი ივანე მაჩაბელი ამას კარგად არ დაჰფიქრებია.

ჩვენ ჭეშმარიტად გვეგონა, რომ ამ საგნის შესახებ თავადი ივანე მაჩაბელი ხმას აღარ ამოიღებდა. მაგრამ გუშინდელ „კავკაზში“ დაბეჭდილია იმისი წერილი, რომელიც ქვემოდ მოგვყავს.

მეველე

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, პარასკევს, 27 მაისს, თავად-აზნაურობამ „კინ-გრუსტის“ ბაღში, ვერაზედ სადილი გაუმართა თავად. ი. გ. ჭავჭავაძეს. ამ სადილზედ 500-მდე მისი პატივისმცემელი ქალი და კაცი დაესწრო. მთელი უშველებელი მოედანი ამ ბაღისა რამდენსამე რიგად გაშლილს სუფრას ეჭირა. საუცხოო სანახავი იყო იქაურ-

ობა. რამდენმამე სიტყვა წარმოსთქვეს, რომელშიაც აღნიშნეს უკანასკნელ ბანკის საზოგადო კრებაზედ მომხდარი ამბავი. საზოგადოება რომ არ დაეტია, რამდენსამე ალაგას გაშალეს ცალკ-ცალკე სუფრა, ზოგან საზანდრის დასტა უკრავდა, ზოგან ზურნისა. შემდეგ გაიმართა საუცხოო ლეკური, რომელმაც კარგა ხანს გასტანა. ღამის თორმეტს საათზედ თ. ილია ჭავჭავაძე მისმა პატივის-მცემლებმა დიდის ამბით გამოაცილეს ბაღიდგან. დიდ-ძალი საზოგადოება დარჩა ბაღშივე და დროებას ატარებდა.

⁂ გუშინწინ, 27 მაისს, დაასაფლავეს ტფილისში გარდაცვლილი არტისტი ქალი ევგრაფ ენგლუნდის ასული კნეინა მარიამ ანდრონიკაშვილისა.

განსვენებულის ნიჭიერ არტისტის ქალის დასაფლავებაზედ დიდძალმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. განსვენებულის ცხედარი მრავალის გვირგვინით იყო შემკული, სხვათა შორის იყო გვირგვინები: მ. მ. საფაროვი-აბაშიძისა, სახელმწიფო თეატრის გამგესი, რუსულ, ქართულ და სომხურის დასის არტისტებისაგან, დრამატიულ სცენის მოყვარულთაგან, მისის ნიჭის პატივმცემელთაგან და სხვათა მრავალთაგან. მიცვალებულის წირვა გადიხადა მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ ალავერდის ეპისკოპოსმა ბესარიონმა ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში. ეკკლესიის გალავანი და ქაშვეთის ქუჩა ავსებული იყო ხალხით. მიცვალებულის ცხედარს მისის სადგომიდგან ავლაბრამდე ხელით მიასვენებდნენ თავად-აზნაურობა. იქიდგან-კი წაასვენეს ს. გურჯაანში საგვარეულო სამარხში დასაკრძალავად.

⁂ ფოთში არსებობს მეზღვაურთა სასწავლებელი. სხვათა შორის ამ სასწავლებელში დაამთავრა სწავლა ერთმა ყმაწვილმა კაცმა, თავად მამუკა ჭავჭავაძის შვილმა ახალ-გაზდა ალექსანდრემ, რომელსაც პირველი ხარისხის წოდება მიუღია—შორეულ ქვეყნების ზღვებში შტურმანობისა. ამ ახალგაზდა თავ. ალექსანდრე ჭავჭავაძეს ამ დღეებში მიუღია დიპლომი და ვერცხლის მედალი შორეულ ქვეყნების დიდ ოკიანოებში ჩინებულ მოგზაურობისათვის და ამ მოგზაურობის დროს ყოჩაღობის გამოჩენისათვის. ჩვენ გადმოგვცეს, რომ ესეთი საჩუქარი მიუსაჯის თავ. ალექსანდრე ჭავჭავაძისათვის რუსეთის სავაჭრო მეზღვაურთა დამხმარებელ მოსკოვის საიმპერატორო საზოგადოების გამგეობას, რომლისათვისაც ფოთის მეზღვაურთა სასწავლებლის გამგეს, ბ-ნს ლეხნიცკის, უცნობებია თავ. ალექსანდრე ჭავჭავაძის გამბედაობისა და სიმამაცის ამბავი, რის გამოც ზემოხსენებულ საზოგადოების გამგეობას დაუდგენია: სასახელო და თავ-გადადებით სამსახურისათვის ზღვათ მოგზაურობის დროს, თავ. ალექსანდრე ჭავჭავაძეს მიესაჯოს პატარა ვერცხლის მედალი იმპერატორის ალექსანდრე მეორის სახელობაზე დაწესებული.

⁂ გუშინწინ, 27 მაისს, დილის 3 საათსა და 45 წამზედ, ერთი უბედურება მოხდა ჩვენს ქალაქში. მტკვრის მარჯვენა ნაპირად აშენებული სამ-სართულიანი სახლი თ. გიორგი ორბელიანისა დაინგრა და რამდენიმე კაცი იმსხვერპლა. ამ სახლის მდგმურებს თურმე შარშანვე ჰქონდათ გამოცხადებული, რომ სიძველის გამო საშიშია ამ სახლში დგომაო, მაგრამ მაინც არ დაუცლიათ.

ამ უკანასკნელს დროს ებრაელნი მდგარან ამ სახლში. 27 მაისს გათენებისას ერთი მუშათაგანი მისულა ამ სახლში, რომ ბალკონიდგან ვედრით წყალი ამოეღო. ამ დროს იგრიალა თურმე სახლმა და სულ ერთიანად ჩამოიქცა. შიგ მოჰყოლია რვა კაცი და ერთიც ქალი, რომელთაგან ორი მომკვდარა, ერთიც ქალი და ოთხი კაცი მძიმედ დაშავებულები ტფილისის სამკურნალოში გაჰგზავნეს და, ამბობენ, რომ ორი ჯერ კიდევ ნანგრევებს ქვეშ არის მოყოლილიო. მრავალი ხალხი ეძებს ამ ორს კაცს. როგორც ამბობენ, პოლიციის ბოქაულს კუზმინსკის ძალიან დიდი სიმარჯვე გამოუჩენია ამ საქმეში; დანგრეულა თუ არა სახლი, იმავე, წამს იქ გაჩენილა, და ცოცხალ-მკვდარნი დიდის მეცადინეობით ამოუყვანია ნანგრევებიდგან მუშათა დახმარებით. ერთი იმათგანი საათ-ნახევრის შემდეგ ამოუყვანეს თურმე, მაგრამ ცოცხალი-კი იყო და ესეც იმ ხუთთა რიცხვში ურევია, რომელნიც საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

---

გუშინდელს გაზეთ „Кавказъ“-ში წერილია დაბეჭდილი რედაქციის მიმართ თავ. ი. გ. მაჩაბლისა. მოგვყავს ეს წერილი სიტყვა სიტყვით:

„გუშინ ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის საზოგადო კრებაზედ ერთი დიდი ამბავი მოხდა, რომლის განსამარტავებლადაც უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში ამ წერილს.

„როდესაც ლაპარაკი იყო კომისიის შესახებ, იმ კომისიისა, რომლისათვისაც ორსავე მებრძოლს დასს უნდა მიენდო განხილვა ყოველის უთანხმოებისა, ჩემსა და თავადს ჭავჭავაძეს შორის აღძრულისა, მე განვუცხადე კრებას, სამართლიანობა თხოულობს, რომ ორსავე მხარეს მიჩემებული ჰქონდეს თავისუფლად ამორჩევა თანაბარ რიცხვის კაცებისა და ძნელია იმათ აზრთან დათანხმება, რომელთაც საჭიროდ მიაჩნიათ კომისია საზოგადო კრებას ამოარჩევინონ, რადგან მაშინ შეიძლება კრებამ უმრავლესობა იმ დასის მომხრეთაგან ამოირჩიოს, რომელსაც შემთხვევით უმრავლესობა ეყოლებათ მეთქი. ამაზედ შემაწყვეტინეს სიტყვა; ხმაურობა ასტყდა და კრების თავმჯდომარემ საჭიროდ დაინახა კრება დაეხურა, რომლის უწინარეს გამოაცხადა, ვითომ მე კომისიაზედ უარს ვამბობ. მაგრამ იმედი მაქვს, ბ-ნო რედაქტორო, რომ თქვენ უფრო პირ-უთვნელი იქმნებით და შეძლებას მომცემთ დავასრულო ის, რაც უნდა მეთქვა და რის თქმის ნებაც არ მომცა საზოგადო კრების თავმჯდომარემ. მე გუშინ მსურდა შემევსო ჩემი აზრი და მეთქვა: სამართლიანობა მოითხოვს, რომ ორსავე მხარეს თავისუფლად შეეძლოს არჩევანი და ამიტომ, თუ თავ. ჭავჭავაძის დასს ჰსურს ჭეშმარიტების გამორკვევა და არა მისი შელახვა კენჭის შემთხვევითის უმრავლესობით, ერთის მხრივაც და მეორეს მხრივაც თანაბარი რიცხვი კაცებისა ამოვირჩიოთ, იმდენ-იმდენი, რამდენიც თავ. ჭავჭავაძეს უნდა. ამ ამორჩეულთ თავისს მხრივ ამოირჩიონ ერთი, ანუ სამი კაცი საზოგადო თანხმობით. გუშინ ამითი მინდოდა დამესრულებინა ჩემი სიტყვა და დღეს ამასვე ვიმეორებ. სიამოვნებით მივანდობ ჩემს ბედ-იღბალს მომავალს კომისიას. „ბედ-იღბალსა“-მეთქი ვამბობ იმიტომ, რომ ამ წერილით ჩემის მხრივ ვალდებულად მიმაჩნია უარი ვსთქვა ყოველ საზოგადო მოღვაწეობისაგან, თუ კომისიის მიერ გამტყუნებული ვიქმენ. განუმარტებელი რომ არა დარჩეს რა, აქავე აღვნიშნავ იმ ნაკლულევანებას თავ. ჭავჭავაძის მოღვაწეობისას, რომელიც მიზეზი იყო ყველასაგან ცნობილ ჩვენ შორის ატეხილ უთანხმოებისა.

„1, უზრუნველობა და უგულსმოდგინეობა, რის გამოც ბანკს დიდი ზარალი მოუვიდა.

„2, სრული არა-ცოდნა ბანკის საქმის ზოგიერთის დარგისა და

„3, დიდის მიკერძებით წარმოება ბანკის საქმეებისა და არა იშვიათად გადასხვაფერება ფაქტებისა თავისის მოქმედების გასამართლებლად.

„წინადავუდებ თავის მხრივ თავ. ჭავჭავაძემაც აღნიშნოს ის ბრალი, რომელსაც მე მდებს, და შეგვიძლიან ეხლავე შევუდგეთ საქმეს.

„დასასრულ საჭიროდ ვსთვლი ორიოდე სიტყვა დავსძინო ამ წერილს თავ. თარხნიშვილის მიერ ამისავე გამო კრებაზედ ნათქვამისა და თავ. ჭავჭავაძის გადაკრულ სიტყვების შესახებ. თავ. გ. ი. თარხნიშვილმა შარშან მითხრა, რომ სამედიატორო მოსამართლენი ამოვირჩიოთო, რათა ავიყაროთ ის ბრალი, რომელსაც თქვენა მდებთო. მე მაშინვე ამოვირჩიე მოსამართლე ჩემის მხრივ, თანხმობა გამოვაცხადე, თავ. თარხნიშვილის სურვილისამებრ დაწერილიყო პირობის წერილი, მაგრამ თუ საქმე უძრავად არის, ამაში მე არავითარი ბრალი არა მაქვს. ის გადაკრული სიტყვები-კი, ვითომ ამ სამართალს გავექცეოდი, სრულიად უსაფუძვლოა. ეხლაც მზადა ვარ სამართალს გავარჩევინო ჩემი და თარხნიშვილის დავა, როდესაც-კი ჰსურს.

„ველი პასუხს როგორც თავ. ჭავჭავაძისა, ისე თავ. თარხნიშვილისაგან“.

---

## უდროო შეერთება

(პედაგოგიური შენიშვნა)

გუშინდელს ნომერში „ივერიამ“ უძღვნა ქება იმ სასწავლებელსა, რომელიც დაარსებულ იქმნა შარშან შემოდგომაზედ მასწავლებელ ქალთა საზოგადოების მიერ. უფრო კიდევ მეტი ქება-დიდება ხვდა წილად ამ სკოლასა „კვალის“ რედაქციის მიერ წასრულს წელში. თუ ეს ქება-დიდება მიძღვნილი აქვთ იმ მანდილოსანთა, რომელნიც სკოლას აწარმოებენ, დიაღ რომ ღირსნი არიან. მაგრამ სისტემას-კი მოიწონებს მხოლოდ ისა, ვისაც სრულად არა აქვს გაცნობილი ის საძირკველი, რომელზედაც აშენებენ ამ სკოლასა.

ძირითადი ნაკლულევანება ამ სკოლისა იმაში მდგომარეობს, რომ სხვა-და-სხვა ეროვნობის ბავშვები ცალ-ცალკე სწავლობენ მხოლოდ ერთის წლის განმავლობაში, მეორე წლიდგან-კი ერთად იყრიან თავსა რუსნი, ქართველნი და სომეხნი, ადგენენ ერთსა კლასსა და სწავლობენ ისე, როგორც წმინდა რუსულს სკოლაში. ბევრი ფიქრი არ უნდა, რომ კაცმა ეს უდროო შეერთება შერაცხოს ფრიად მავნებლად მთელის სკოლისათვის.

უპირველესად ყოვლისა ეს შეერთება ნამდვილს ბორკილს შეუყრის რუსს ბავშვებსა და დიდად შეაფერხებს მათ სწავლასა. მოგეხსენებათ კარგად, რომ ადგილობრივ ენებსა და რუსულს ენას შორის დიდი განსხვავება არსებობს. ამის გამო ჩვენებური ბავშვები პირველის წლის განმავლობაში მხოლოდ მცირეოდენს ტიტინს ისწავლიან რუსულს ენაზედა. ამ ბორძიკით მოტიტინე ბავშვებთან ერთად უნდა ისწავლონ საგნები რუსმა ბავშვებმა, რომელთაც თავისი დედა-ენა, რასაკვირველია, კარგად იციან. ესენი ივლიან სწავლაში უნებლიედ ისეთივე ტაატით, ისეთივე კუის ნაბიჯით, როგორც ჩვენი ბავშვები, და ერთი სამად და ოთხად ნაკლებს შეიძენენ, ვიდრე შეიძენდნენ მაშინ, თუ ცალკე ესწავლათ. შიკრიკი რომ იმავე სისწრაფით ატარო, რომელითაც დადის ძალზედ კოჭლი, იგი გაივლის იმავე პაწია მანძილს, რომელსაც მეორე და თვისი შიკრიკობა ამაოდ ჩაუვლის.

---

# ფელეტონი

## მასლაათი

„საამიკოდ, სალაღობოდ,
ამხანაგთა სართველად“.
რუსთველი

გათავდა მკაცრი ბრძოლა ბანკის გამგეობასა და ოპოზიციას შორის. ოპოზიცია საშინლად დამარცხდა. საზოგადოების სიხარულსა და აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. თქვენის თვალით უნდა გენახათ ბრძოლის ველი, თეატრის ფართო დარბაზი და მაშინ გაიგებდით,—თუ რა დიადსა და მომხიბლავს სურათს წარმოადგენდა ძლევა-მოსილება... ტაშის ცემისა და „ვაშას“ ძახილისაგან უზარმაზარი შენობა თითქო საძირკვლიანად შეიძრა და შეირყა. სცენა ვარდის კონებით და სურნელოვან თაიგულებით მოიფინა. როცა ბანკის თავმჯდომარე გამოიწვიეს, ყველა—კაცი თუ ქალი—ფეხზედ წამოდგა და ამ დროს გამარჯვების ნიშნად ქუდებისა და ბაღდადების ქნევა და ფრიალი ნამდვილ ღელვას მიაგავდა. ჩვენის საზოგადოების წარჩინებულნი წარმომადგენელნი სცენაზედ ავიდნენ და ბანკის მმართველობის თავმჯდომარეს ხელი ჩამოართვეს, გამარჯვება მიულოცეს. ძლევა-მოსილი გმირი საზოგადო სიხარულის ხილვით ისე აღელვებული იყო, რომ ხმა უთრთოდა და მხოლოდ რამდენისამე სიტყვით შესძლო მადლობის გადახდა.

დიაღ, ნეტარი და დაუვიწყარი იყო ეს გამარჯვების წამი და დიდი შთაბეჭდილება იქონია მთელს საზოგადოებაზე. ჩვენ ამ წუთის მსგავსი არა გვინახავს-რა ქართველების ცხოვრებაში და მარტო მაშინ დავინახეთ,—რა ზნეობრივი გავლენა ჰქონია საზოგადოებაზედ, როცა სინათლე და სიმართლე სძლევს ბნელსა და უკეთურებას. მეორე დღეს, ადგილ-ადგილ, ბულვარზე და ქუჩებში სასიამოვნო სანახავს შეხვდებოდით: მანდილოსნები ერთიერთმანეთს ულოცავდნენ, ღიმილით და კისკისით გამარჯვებას გაიძახოდნენ, იცინოდნენ, ხარხარებდნენ. საერთო სიხარული ისე აღფრთოვანდა, რომ ზოგან უცნობნიც-კი ერთმანეთს თავს უკრავდნენ, ხელს ართმევდნენ...

ჯერაც ეს საერთო სიხარული არ შეწყვეტილა და მისი ძალუმი ხმა ისევ გაისმის. უეჭველია, რომ მოკლე ხანში მთელ საქართველოს მოედება სასიხარულო ამბავი და პროვინცია ბანს მისცემს თავისს დედა-ქალაქს. როცა მთელი ერი ერთის გრძნობითა და სიხარულით გატაცებულია, როცა საზოგადოება ერთხმივ ჰგალობს ძლევა-მოსილების საგალობელს და ზნეობრივს გამარჯვებას გულ-წრფელად დღესასწაულობს, მაშინ ამ ამბისა და მოვლენის მიზეზს გამოკვლევა და გასინჯვა უნდა.

ვინც საზოგადოებრივს ცხოვრებას თვალ-ყურს ადევნებს, იმან კარგად იცის ჩვენის ბანკის კეთილ-დღეობა. იცის აგრეთვე ამ ბანკის თავმჯდომარის ვინაობა. ოპოზიციის გმირების ცხოვრება და მოღვაწეობაც არავისათვის არის დაფარული. არც ერთი მცოდნე და საქმეში ჩახედული ქართველი ერთს წუთსაც არ იფიქრებდა, რომ თუ ვინიცობაა ოპოზიციის რომელიმე გმირი პირდაპირ შეებრძოლა ბანკის აწინდელ თავმჯდომარეს, ის ბრძოლის შემდეგ გამარჯვებული დარჩებოდა... წინა-წლებში რამდენჯერმე სწვნია ოპოზიციამ,—თუ რა დამარცხება მოელის, უკეთუ ხელდა-ხელ შეებმის და პატიოსანის იარაღით ბრძოლას გაუწევს ბანკის თავმჯდომარეს. ქართველმა საზოგადოებამ არა ერთხელ და ორჯელ დაინახა, რომ ბანკის თავმჯდომარისა და ოპოზიციის რომლისამე გმირის შებმის დროს ოპოზიცია ყოვლად უღონო და შესაბრალისი იყო. ოპოზიციის გმირებმა კარგად იცოდნენ ყველა ეს და ამიტომ პირადს სიმხნეს, სიმამაცეს, სიმარჯვეს არ ენდნენ და მართებულისა და უმართებულო გზით მთელი ლაშქარი შეჰკრიბეს მეტოქეზედ მისასევად. მაგრამ ეს კიდევ არაფერი.

როცა ოპოზიციამ შეიგნო თავისი უსუსურება და უძლურება და დაინახა, რომ კანონიერის გზით ვერას გავხდები, ბურთს ვერ გავიტანო, მაშინ მიჰმართა ისეთს ბრძოლის იარაღს, რომელიც დიდად საშიში შეიქნა საზოგადო ზნეობისათვის. ამ იარაღად სინიდისისა და რწმენის აღებ-მიცემობა აღიარეს. ამის გამო, ოპოზიციის მეოხებით, საარჩევანო უფლება—ეს „წმიდათა წმიდა“ ყოველის პატიოსანის კაცისა—სავაჭრო საგნად გარდიქცა. არც ერთს უკანონო საშუალებას არ ერიდებოდნენ, ოღონდ-კი ამ სამარცხვინო ვაჭრობას ბაზარი გაჰხსნოდა და მსყიდველი მოჰმატებოდა. გეცოდინებათ, რომ ყველა საზოგადოებაში არიან ისეთნიც, რომელთაც პატიოსნება და სინიდისი საალებ-მიცემო ნივთი ჰგონიათ. მეტადრე ეს უნდა ითქვას იმათ შესახებ, რომელთაც, უმეცრების მიზეზით, მარტო პირადი სარგებლობა სწამთ და საქვეყნო საქმეს-კი უარ-ჰყოფენ. ოპოზიციამ სწორედ ასეთ უმეცრების წრეს მიჰმართა, ზნეობის ვაჭრობის დუქანი იქ გამართა და მუშტრებისაგან მთელი ლაშქარი შეად-

აგრეთვე ამით იქმნება რუსს ბავშვებისათვის რუსულის ენის ცოდნა, თუ ისინი ამ ენის უცოდინარს ბავშვებთან სწავლაში ივლიან ტაატ ტაატით.

ეს წესი ყოვლად შეუძლებლად გახდის ადგილობრივს ენებზედ წერა-კითხვის შეთვისებასა. რუსეთში სახალხო სკოლის მოსწავლეები სამის წლის განმავლობაში სწავლობენ ყოველ დღე რუსულს წერა-კითხვასა და ძლივს ერევიან. ხსენებულ სკოლაში, დედა-ენას საკმარისი გაკვეთილები ექნება მოლოდ პირველის წლის განმავლობაში. მეორე და მესამე წელს-კი ორიოდე გაკვეთილი თუ არგუნეს, ისიც კი ქებაა, რადგანაც გაკვეთილები მთლად დაჭერილი ექნებათ საგნებს რუსულის სკოლისასა. ხოლო ყველამ კარგად იცის, რომ ბავშვი არ ივიწყებს პირველს წელიწადში შეთვისებულს წერა-კითხვას და წინ მიდის მხოლოდ მაშინ, თუ შემდეგს წლებში ყოველ დღე აქვს გაკვეთილი ამ წერა-კითხვისა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ივიწყებს იმასაც, რაც მოასწრო პირველის წლის განმავლობაში და რჩება ხელ-ცარიელი.

აგრეთვე კარგად იცის ყველამ, რომ სკოლის საგნების შეგნება და შეთვისება, სწორე განვითარება, გაფურჩქნა გონებისა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც მოწაფეებს ესმით ენა, რომელზედაც სწარმოობს სწავლა. მეორე წელში ჩვენებურს ბავშვებს ისე სუსტად, ისე ნაკლებად ეცოდინებათ რუსული ლაპარაკი, რომ ხუთს აზრში ერთსაც ხეირიანად ვერ გაიგებენ. მათ ამ დროს მოუხდებათ დევნა ორი კურდღლისა, დაძლევა ორის სიძნელისა, რომელნიც არიან: ფორმის, ენის შეთვისება, და შინაარსის, აზრების შეგნება. და რასაკვირველია, ვერც ერთს კურდღელს ვერ დაიჭერენ, ვერც ერთს სიძნელეს ვერა სძლევენ რიგიანადა.

უდროო შეერთება სხვა ბოროტებასაც დაჰბადებს. იგი გამოიწვევს განხეთქილებას სხვა-და-სხვა ეროვნობის ბავშვებ შორის. რუსნი გულძვირად იქმნებიან ქართველ და სომეხ ბავშვებზედ, რომელთა წყალობით იგინი გულ გაწვრილებელი ტაატით ივლიან წარმატებაში. თავის მხრივ სწავლაში დაჩაგრებს, გონების ძალდატანებას ქართველი ბავშვები და სომხები დააბრალებენ რუსს ბავშვებსა და ყოველთვის ბოროტი გულით იქმნებიან მათზედ. ამსახით მეხანიკური შეერთება გახდება მიზეზად ერთმანეთის სიძულვილისა, განხეთქილებისა მოსწავლეთა შორის.

ამ მოსაზრებათა ძალით შეერთება განყოფილებათა შეიძლება მოხდეს არა უადრეს მესამე წლისა. შეერთების გადადება ერთის წლით სკოლის ხარჯს ერთს კაპეიკსაც არ მოუმატებს, რადგანაც ორის განყოფილების სწავლება მასწავლებლისათვის სრულიად ადვილია. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ სხვა-და-სხვა ეროვნობის ბავშვების ცალკე სწავლება პირველ დაწყებით სკოლაში მთელის კურსის განმავლობაში წესად არის მიღებული არამც თუ განათლებულს ევროპაში, არამედ რუსეთშიაც; მაგალითად, გორის საოსტატო სემინარიასთან დაარსებულს სამაგალითო სკოლაში პატარა ქართველები, სომხები, თათრები და რუსები სულ ცალ-ცალკე სწავლობენ, ვიდრე დაბალის სკოლის კურს არ დაასრულებენ. ამ ცალ-ცალკე სწავლებას სხვა-და-სხვა ეროვნობის ბავშვებისას მოითხოვს ჯერედ დადგენილება სახელმწიფო რჩევისა (постановленія Государственнаго Совѣта) მეორე ოფიციალური გეგმა, პლანი პირველ დაწყებითი სკოლისა, რომელიც გამოცემულია ადგილობრივი სამოსწავლო მთავრობისაგან და დამტკიცებული ნამესტნიკისაგან; და ბოლოს, გეგმა სამრევლო სკოლებისა, დამტკიცებული სინოდისაგან და გამოცემული სახელმძღვანელოდ საქართველოში დაარსებულს სკოლებისათვის.

ი. ს—ძე

# უცხოეთი

**ბოლგარია.** ევროპის ჟურნალ-გაზეთებს ჯერაც რიგიანად ვერ აუხსნიათ მიზეზი სტამბულოვის უეცარის, თუმცა არა იმდენად მოულოდნელის დათხოვისა. არავინ არ იცის ნამდვილად, როგორ მოხდა ეს ამბავი და ან რა მიზეზმა გამოიწვია იგი. ზოგნი ასახელებენ რაღაც ინტრიგას და ამტკიცებენ, რომ ყოველივე ეს მოხდა კერძო ცხოვრებაში მომხდარ სკანდალის გამოო, მეორეებს ჰგონიათ ვითომც რამ საერთო ჰქონდეს ბისმარკის სამსახურიდგან გადადგომასა და ბოლგარიის პრემიერის სამსახურიდგან გამოსვლას. მესამენი ასახელებენ მიზეზად იმ უსიამოვნებას, რომელიც მომხდარა საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ აღძრულის ლაპარაკის გამო პრინცსა და სტამბულოვს შორის. ამ უკანასკნელის აზრის გამომთქმელნი, ევროპის ჟურნალ გაზეთებ შორის „Politik“-ი და „Standard“-ი იმას ამბობენ, რომ უსიამოვნების მიზეზი ბოლგარიის რუსეთთან დამოკიდებულება იყოო. პრინცის ფერდინანდის გულითადი სურვილი ის არის, რომ დიდნი სახელმწიფონი დაიყოლიოს და ბოლგარიის უფლებანი აღიარებინებინოს, რის გამოც ყოველ ღონისძიებით სცდილობს ამ საქმეს ნიადაგი პეტერბურგში შეუმზადოს. ასე ჰმოქმედებდა თვით პრინცი და მისი მრავალ-რიცხოვანი ნათესაობაც დიდად ეხმარებოდა ამ საქმეში, მეტადრე პრინცესა კლემენტინა, რომელიც, როგორც ამბობენ, ჰმოქმედებდა ლონდონში და სცდილობდა მოეპოებინა უფრო ადვილი და უკეთესი საშუალება თავისის შუამდგომლობის განსახორციელებლად. მაგრამ განა შესაძლებელი იყო იმედი ჰქონოდა სურვილის აღსრულებისა, ვიდრე ყოველივე უფლება ყოვლად ძლიერ პრემიერს ხელთა ჰქონდა? ეს გარემოება არამც თუ აზრსაც არ უბადავდა პრინცს ფერდინადს დიდთა სახელმწიფოთა დაყოლიებისას, არამედ სტამბულოვის თვალი სულ სხვა მხარესკენ იყო მიქცეული. მას თვალი პეტერბურგისკენ კიარა, სტამბოლისკენ ეჭირა. იგი ყოველის გზით ურჩევდა და აქეზებდა სულთანს, როგორც „Standard“-ში ვენის კორესპოდენტი ამბობს, ბოლგარიისა დიდი მწყალობელი ყოფილიყო, რათა ოსმალეთის მფლობელობას ძალა და მნიშვნელობა მისცემოდა; ბოლგარიის ბისმარკი მხოლოდ თავის დიდებისა და პატივ-მოყვარეობის გამო მოქმედებდა ასე. იმას უნდოდა, რომ ბოლგარიას, ოსმალეთის მხრივ დაიმედებულს და მის ძალღონეზედ დამყარებულს, უპირატესობა მოეპოვებინა ბალკანეთის ნახევარ კუნძულზედ და ამით გზა გაეკვლია სტამბოლისაკენ. ეს განზრახვა ძლიერ გაახახებდა და გააძნელებდა პრინც ფერდინანდის სურვილის განხორციელებას და, ამიტომ იგი წინააღმდეგი იყო ამ განზრახვათა. კობურგელებმა გადასწყვიტეს, უეჭველად დაეძლიათ სტამბულოვიდა, „Politik“-ის სიტყვით, წარსულს ზაფხულს კინაღამ საქმე განხეთქილებამდის მივიდა კიდეც. ამ განხეთქილებას ნიადაგს თვით სტამბულოვი უმზადებდა: მისმა ძალ-მომრეობამ მრავალი მტერი შესძინა, რომელთა შორის ზოგნი თავისუფლების მტრადა სთვლიდნენ და ზოგს სძულდა, როგორც ბედნიერი მეტოქე. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო პრინცის დიდის ხნის სურვილის განხორციელებას. ასეთია, ხსენებულის გაზეთების აზრით, ბოლგარიის კრიზისის ვითარება. მაგრამ ასეა თუ არა და ან რა რიგად მოხდა ეს ამბავი ამ გარემოების შორის, არავინ იცის. რაც შეეხება იმ საბუთების მნიშვნელობას, რომელსაც გვაუწყებს სოფიიდგან მოსული დეპეშა, ამ მხრივ აქამომდე ევროპის ჟურნალ-გაზეთები ერთის აზრისანი არიან. ყველანი იმას ამბობენ, რომ აწინდელ საპოლიტიკო გარემოებათა შორის ბოლგარიის კრიზისი საშიში არ არის საერთაშორისო მშვიდობიანობისათვისაო. სამის წლის წინადაო, ამბობს Times“-ი, სტამბულოვის დათხოვნა შესანიშნავი ამბავი იქმნებოდა მთელის ევროპისათვის; ეხლა-კი გულგრილად უყურებენ ამ ამბავს დიდთა სახელმწიფოთა სატახტო ქალაქებიო.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

ჩვეულებად არის მიღებული, რომ დედათა სქესი დაბადებითვე სიცრუის მიმყოლიაო, მაგრამ ყველაზედ დიდი სიცრუე და უმნიშვნელოც ის არის, როდესაც ქალი წლოვანებასა ჰფარავს. თუ დედაკაცს ნორჩი შეხედულობა აქვს, რა საჭიროა წლოვანების დაკლება და თუ ხნის შესაფერი-უსაფერლოა თავის გამოწვევება. სიცრუე რაღა საჭიროა როდესაც ამ სიცრუეს, სარგებლობა-კი არა, ზარალი მოაქვს.

ვენის ერთი მწერალი აი რას სწერს ამის შესახებ: რა საჭიროება მოითხოვს უეჭველად ჩვენი წლოვანება აღვიაროთ, თუ-კი ამ წლოვანების გამოცხადება გვეძნელება და გვეჩოთირება. მესმის ამასთანა აუცილებელი საჭიროება, როცა მემკვიდრეობის დამტკიცება გვინდა, ანუ რომლისამე ადამიანის ვინაობის დამტკიცება, შეცთომის ასაცილებლად. და თუ წლოვანების დაკლებას გვაიძულებს ის ფიქრი, რომ ამა და ამას მოვეწონოთ, რა არის აქ საძრახისი, ან სად არის აქ სისულელე? მე-კი მგონია, კაცების მხრივ უფრო სისულელეა, ამასთანა უზრდელის ლაპარაკით ქალების შეწუხება. ნუ თუ 34 წლის ქვრივმა, რომელსაც ემაწვილური, 28 წლის ქალის შეხედულობა და მიმზიდველობა შერჩენია, უთუოდ უნდა აღიაროს თავისი ხანი იმათთან, ვინც მას ემაწვილად სთვლის. მე ვამტკიცებ, რომ ამ შემთხვევაში ქალი სიმართლეს-კი არ დაიცავს, უფრო სიცრუის მომხრე შეიქმნება, რადგან მისი გარეგანი შეხედულება სწორედ იმ ხანს შეჰფერის, რასაც სხვანი ასახელებენ. რა წამსაც ქალი თავის ნამდვილ ხანს, 34 წლისას კარო, ეტყვის კაცს, რომელსაც ის უფრო ემაწვილი, 28 წლისა, ჰგონია, იმწამსვე ამ კაცის თვალში იგი შეიცვლება: სრულიად სხვა სახით ეჩვენება, ვიდრე აქამდე ეჩვენებოდა, მაშასადამე ისეთი არა, როგორიც ნამდვილად არის. მის ლამაზ ლოყას, რომელსაც კაცი აღტაცებაში მოჰყავდა, ნაოჭებს და ჭმუხვნებს შეამჩნევს, თვალები, რომლებშიაც ის საოცნებო გამომეტყველებას ჰხედავდა, დაღლილად ეჩვენება, უფერულად და ეჭვიც-კი შეუვა, ეს ლამაზი ტუჩები მისია, თუ არაო. მაშასადამე, რა-კი ქალმა თავისი ნამდვილი წლოვანება აღიარა, თავი დაიბერა.

მამას უთუოდ სასიკეთოდ მიაჩნია, როცა თავის ქალს 24 წლის ემაწვილს კაცს აძლევს ცოლად. თუ აღმოჩნდა, რომ ამ ემაწვილ კაცს ან ფილტვები აქვს ავადმყოფი, ან ჯანმრთელი არ არის და სულ ორ წელიწადს ვერ გაასწევს, რასაკვირველია, სულ ერთია, ვითომ 80 წლის მოხუცისთვის მიუთხოვებია ქალი. მოხუცის ბარონ ლესსეპსის ცოლს-კი შეუძლიან სთქვას, რომ ემაწვილი კაცია ჩემი ქმარიო, რადგან მისის ექვსის შვილის მამა თავისის ჯანმრთელობით მეტად დაშორებულია თავისი 60 წლის ხანს და უფრო 35

---

გინა. ხოლო იმ ადგილას, სადაც სინათლე ჯერ არ გამქრალა, სხვა-და-სხვა უმართებულო ჭორმა და ცილის-წამებამ დაიწყო ნავარდობა, პარპაში. ტყუილად-კი არა სთქვა ბანკის თავმჯდომარემ, რომ ოპოზიციის ცხენზედ მაფრაშით დაჰქონდა ათას ნაირი ჭორიო!.. მართლაც-და, ქვენა გრძნობამ, შურმა და მტრობამ, სათაკილო მიქმა-მოთქმამ იქამდე აღვირი აიწყვიტა, რომ ზოგიერთნი კიდეც შიშობდნენ — დღეს თუ ხვალ ზნეობრივი წარღვნა მოევლინება ქართველს საზოგადოებასაო. ერთის სიტყვით, წრეულს ოპოზიციამ ისეთს იარაღს და ისეთს ძალას მიჰმართა, რომ უკეთესი ნაწილი საზოგადოებისა შეძრწუნდა და თითქმის შიშს მიეცა. ბევრს, ძალიან ბევრს ეგონა კიდეც, რომ აღშხედრებულმა უზნეობამ, უკეთურებამ იქნება გაიმარჯვოს და მაშინ ხომ დაიღუპა აწმყოც და მომავალიცაო. მაგრამ ასე არ მოხდა, კეთილმა ბოროტსა სძლია და საზოგადო სიხარული! მიზეზიც აქ არის... აწინდელი გამარჯვება, მარტო ბანკის მმართველობის გამარჯვება-კი არა, მთელის საზოგადოების გამარჯვებაა.

ცხადია, რომ ჩვენს საზოგადოებას და კერძოდ მაღალს წოდებას მძლავრი და შეულახავი ზნეობრივი გრძნობა ჰქონია. თავად-აზნაურობის ცხოვრების ზნეობრივი ბურჯი ისე მტკიცედ და მაგრად ყოფილა თურმე დამყარებული, რომ იმის შერყევას ამ ჟამად თვით ბნელეთის გოლიათნი და ბუმბერაზნიც ვერ შესძლებენ, თორემ ოპოზიციის რაინდნი რა სახსენებელნი არიან... როცა გამოაშკარავდა ოპოზიციის ნამდვილი განზრახვა და წადილი და აღმოჩნდა, რომ ბანკის კეთილდღეობას მხოლოდ გალვიძებული მადა ებრძოდა, მაშინ უნდა გენახათ საუკეთესო წარმომადგენელნი ჩვენის თავად-აზნაურობისა: თითო იმათი შეხედვა ნამდვილი რისხვა და ლახვარი იყო ოპოზიციის გმირებისათვის! კრების უმრავლესობამ მალე შეიგნო, რისთვის იბრძოდა ოპოზიცია და სრულიად ყურადღებას არ ათხოვებდა იმის გმირების მაღალ ფარდებში ფრენას, ფარისევლურად გულში ცემას. მალე გამოაქვეყნეს, რომ ამ გმირებს მარტო პირადობა და საკუთარი, კერძო სარგებლობა ამოძრავებს და სხვა არაფერი. და როცა ამ გარემოების დამალვა არა გზით აღარ შეიძლებოდა, მაშინ ოპოზიციის პატივი სრულიად აეყარა: მე ქუთაისიდგან იმისთვის მოვედი, რომ ზიზღი გამოვუცხადო ოპოზიციასაო, სთქვა ვ. ყიფიანმა. უნდა გენახათ საზოგადოების თანაგრძნობა და ტაშის ცემა, რომელიც ორატორის სიტყვამ გამოიწვია და მაშინ შეიტყობდით, რა მაღალ წერტილზე იდგა თავად-აზნაურთა კრებულის ზნეობა! ამ ზნეობის სიმაღლე იმითიც გამოიხატა, რომ ორმა დიაღ წარჩინებულმა მოღვაწემ საზოგადოების წინაშე ოპოზიციის მოთავეს გამოუცხადა: ზნეობრივი ღირსება ნებას არ გვაძლევს, რომ თქვენთან ერთად ვიმსახუროთ სასკოლო კამიტეტში და სამსახურს თავს ვანებებთო. საშინელი და შესაზარი იყო ეს პროტესტი და სწორედ ზნეობრივი გრძნობა დაჩაგრულებული უნდა ჰქონოდეს ოპოზიციას, რომ აიტანოს ასეთი პროტესტი. მაგრამ ჟამნი და ზნენი იცვალნენ!..

როგორც მოგახსენეთ, ბანკის მმართველობის გამარჯვებას დიდი და ღრმა მნიშვნელობა აქვს და საზოგადოებაც ამიტომ მიეცა ასეთს უზომო და გულწრფელს სიხარულს. ამიერიდგან ყველასათვის აშკარაა, რომ პატიოსანი შრომა და ღვაწლი ფუჭად ამაოდ არ ჩაივლის, რადგანაც ქართველობის ზნეობრივი ნიადაგი დიაღ რომ ნოყიერი ყოფილა. ერთი გარემოებაც აღსანიშნავია. ნათლად გამოირკვა, რომ ინტელიგენციას საკმაო გავლენა ჰქონია საზოგადოებაში და საქვეყნო საქმეების მიმდინარეობაზედ. აწინდელ გამარჯვებაში ინტელიგენციასაც წილი უდევს და ეს კარგი ნიშანია. საჭიროა მხოლოდ, რომ ჩვენი ინტელიგენცია უფრო მეტის ცოდნითა და სწავლით აღიჭურვოს, სინათლისა და ზნეობის დროშა მაღლა აღმართოს და ყოველთვის მიუდრეკელად დაჰგმოს ერის გამრყვნელნი, შეურაცხმყოფელნი. ბანკის საზოგადო კრებაზედ ზოგი ასე მოიქცა, მაგრამ ასეთი საქციელი საზოგადო და საყოველთაო წმიდა მოვალეობას უნდა შეადგენდეს!..

ხოლო რაც შეეხება ოპოზიციის საჭიროებას, რასაკვირველია, საჭიროა ნამდვილი ოპოზიცია — აზრიანი, გზიანი, ზნიანი, საქმიანი, საჭიროა იმიტომ, რომ სწორედ ასეთის თვისებისა და ხასიათისაა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობაც. გაიგეთ, ბატონებო, რომ მაღალს ფრაზებსა და სიტყვებს ნდობა დაეკარგა და აზრს, ცოდნას, გონებრივს შრომას ფასი დაედო. საფინანსო მეცნიერების ანბანაც-კი არა სცოდნიათ და ოპოზიციის სახელით იბრძვიან. განა ეს სასაცილო არ არის? ან სად გაგონილა ასეთი ბრძოლა?!.

Plebs

წლის უმაწვილს კაცსა ჰგავს. ამიტომ სასაცარი არ არის, თუ რომელიმე უმაწვილი ქალი იტყვის, რომ ჩემს თავს მოხუცადა ვგრძნობო. ასეთივე სამართლიანი იქნება, თუ დედაკაცი, სასამართლოში მოწმად მიწვეული, როდესაც მოსამართლე ჰკითხავს,—რაც დიდად უადგილო კითხვად მიგვაჩნია,—რამდენის წლისა ხარო, მიუგებს: „რამდენის წლისა ვარ? არ ვიცი! თუ შეიძლებათ და მეტყვით, როდის მოვკვდები, მაშინ შეგატყობინებთ ჩემს წლოვანებას“.

ის აზრი, რომ ყოველი კაცი იმდენად მოხუცია, რამდენადაც იგი ჰგრძნობს თავის თავს მოხუცად, არ არის მართალი, მაგრამ ცალ-გვერდ კი. შეიძლება თავი დაიბერო, თუ შენს თავს უფრო ხნიერად ჰგრძნობ, ვიდრე ნამდვილად ხარ, მაგრამ გაუმაწვილება-კი შეუძლებელია მხოლოდ იმ ფიქრით, რომ უმაწვილი ვარო. ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენი სიუმაწვილე სხვათაც დაიჯერონ. აი ამიტომ ჭკვიანი ქალი (აგრეთვე კაციც, რადგან კაცი ქალზედ ნაკლებად არ ერიდება ნამდვილ წლოვანების გამომჟღავნებას) თავის ფიქრებს არ აჰყვება და მხოლოდ სხვის აზრს ერწმუნება. ერთმა კაცმა ჰკითხა გრაფინია მეტერნიხს, როგორ ბრძანდებითო. „ისე, კარგად, უპასუხა სიტყვა-მახვილმა დედაკაცმა, როგორც შეეფერება მოხუცს დედაკაცს“. „მოხუცსო“!—გაიცინა კაცმა: სულაც არა ბრძანდებით მოხუცი, თქვენო ბრწყინვალებავ“. „50 წლისა კი ვარ და“!.. „ორმოცდა-ათი წელი რა მოხუცებაა“, განაგრძო კაცმა. „ეგ იმაზეა დამოკიდებული, მიუგო მეტერნიხისამ, რა თვალით შეხედავთ. ეკლესიისთვის ეს ბევრი არ არის და ქალისთვის-კი, რომელიც თავისს თავს თვალ-ყურს ადევნებს, საკმაოდ დაჩაგრული ხანია“!..

რასაკვირველია, სიუმაწვილე თავისას თხოულობს და სასურველე იქნებოდა, რომ მოხუცი გადაეღობოს გზაზედ. საქმე მხოლოდ იმაშია, როდის იწყება სიბერე და ვინ დაუდვა მას საზღვარი. ხანი, რომელსაც ვკითხულობთ ხოლმე, არ არსებობს. წლოვანება ადამიანისა ციფრით არ გამოიხატება. დიდი უკადრისობაა, რომ კაცსა და მეტადრე ქალს ჰკითხოთ, რამდენის წლისა ხართო და ამით დააფასოთ მათი ღირსება. შეიძლება პირუტყვისა, ტანთ-საცმლის და საგრავის ხნის გამოძიება, რადგანაც ამათ შეატყობთ, რამდენს ხანს კიდევ გასძლებს თითოეული იმათგანი. ქალი-კი, რომელმაც თავის საქმროს ხუთის წლით ნაკლები უთხრა თავის ხანი, სრულიად უბრალოდ იქმნება დასჯილი, თუ ამისთვის გაჰკიცხეს, როგორც დამნაშავე. ამისათვის ყოველის განათლებულის ერის ცხოვრების კანონისა და ზნეობის წიგნში, ანუ სამოქალაქო კანონების წიგნში შეტანილი უნდა იქმნას წესად: აკრძალულია წლოვანებას კითხვაო.

## წერილი რედაქციის მიმართ

### I

მ. ხ. ბ. რედაქტორო! ტფილისის სათავად-აზნაურო, საადგილ-მამულო ბანკის საერთო კრების სხდომის დროს, 24 მაისს, სხვათა შორის წაკითხული იყო ოქმი გორის მაზრის აზნაურთა კრებისა, რომლითაც ხსენებული აზნაურობა შუამდგომლობდა—მამული „სკრა“ დათმობოდა აზნაურობას სამეურნეო სკოლის იქ დასაარსებლად. როდესაც ამ საგნის განხილვას შეუდგა ხსენებული აზნაურთა კრება მე ვამტკიცებდი, რომ ამ მამულის შეძენა და იქ სამეურნეო სკოლის გაკეთება დიდს ხარჯებს გამოიწვევს და ეს ხარჯები დააწვება ტვირთად იმ საშუალებათ, რომელნიც ბანკიდამ ჩვენს სათავად-აზნაურო სკოლას ეძლევა; და შეიძლება ამან კიდეც გააუქმოს ეს მზა-მზარეული სასწავლებელი. როდესაც ოქმს ხელს ვაწერდი, ეს ჩემი აზრი მე მოკლედ წარვაწერე, როგორც პროტესტი ამ ოქმზედ. მაგრამ წარმოიდგინეთ, ჩემი გაოცება როდესაც ეს ოქმი წაიკითხეს ტფილისის სათავად-აზნაურო, საადგილ-მამულო ბანკის სხდომის დროს, ამოიკითხეს ჩემ მიერ ხელის-მოწერა და ეს ჩემი პროტესტი კი აღარ!.. ჩემს კითხვაზე მიპასუხეს, რომ არავითარი შენიშვნები და პროტესტები თქვენი ხელ-მოწერილი არა აქვსო. როდესაც გავსინჯე ოქმი ჩემის თვალით, დავრწმუნდი, რომ ეს ოქმის ნამდვილი-კი არ არის, არამედ პირია და რომ ამ პირში ჩემი პროტესტი სრულიად არ არის მოხსენებული, შეტანილი. ასე, რომ ამ პირიდამ ისე სჩანდა, ვითომც მე, არამც თუ წინააღმდეგი ვიყავ, არამედ სრულიად ვეთანხმებოდი აზრს, გამოთქმულს იმ ოქმში. მე ჩემს მოვალეობად ჩავთვალე ეს უთანხმოება გამეცხადებინა კრებაში. ორი მოთავენი ესრედ წოდებულის ოპოზიციისა თ. ივ. მაჩაბელი და უფ. მ. მაჩაბელი წაესარჩლენ გორის მარშალს ბ. სულხანიშვილს, რომელმაც შეამოწმა და წარმოადგინა ხსენებული ოქმის პირი და თხოულობდნენ ჩემგან წესის დაცვას და ჩემ მიერ განცხადებულის დამტკიცებას. მე ვუპასუხე, რომ დედანი ამ ოქმისა ხელთა აქვს ბ. სულხანიშვილს, რომელსაც ვსთხოვე იგი კრებისათვის განსახილველად წარმოედგინა.

ბ. სულხანიშვილმა, რომელიც იქ იყო კრებაში იმ დღეს და მეორესაც, ხსენებული ოქმი არ წარმოადგინა.

პატივი და მოვალეობა თხოულობდენ, რომ ოპოზიციის ვალდებული გახსდა ბ. სულხანიშვილი—წაეკითხა დედანი ხსენებული ოქმისა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებაში; რადგანაც საბანკო კრება უკვე დასრულდა, და თუ ამასაც არ ინებებენ, მაშინ ესე ოქმი წარმოადგინონ თქვენ პატივცემულ გაზეთის რედაქციაში, სადამაც დაინახავთ არის თუ არა ოქმის დედანზე ჩემ მიერ აღნიშნული წარწერა.

თუ ამასაც არ იზამენ, მაშინ ყველამ უნდა ჭეშმარიტებად ჩასთვალოს, რომ ჩემი განცხადება იყო და არის სრულიად სამართლიანი და რომ პირი, რომელიც გორის მაზრის მარშალმა წარმოუდგინა საბანკო კრებას, არ შეესაბამება დედანს. („Нов. Обоз.“).

ანტონ ფურცელაძე

### II

დღესაც ყურთა სმენა არ არის იმ ვაჟ-ბატონებისაგან, რომელნიც აღიჭურვნენ სიფიცხით თვისითა, ჰკრეს ბუკსა და ნაღარას და ამტკიცებდნენ, რომ უეჭველად პატარა ლიახვზედ გადებული ხიდი, თუ წყალ დიდობას არა, ან ყინულით ან და თავისით ჩაინგრევაო. ჩვენც რა ღონე გვქონდა გულ ხელ დაკრეფილი ვისმენდით ბრძენთა წინასწარმეტყველებას, მაგრამ დღეს როცა ქადილი და ხარხარი მათი არ აღსრულდა, არ გამართლდა, არ შემიძლიან პასუხი არ გავსცე ჩემს მეტოქეებს და არა ვკითხო: აბა, რა მოხდა და რომელი ნალეწი აჭყურა ხიდს იმ წყალ დიდობამ, რომელმაც უკვე ჩაიარა? მართალია, გაჩვენა, სად რა ნაკლულევანება ჰქონდა, მაგრამ ხიდი კი დღესაც შეურყევლად სდგას და, იმედია, იდგება კიდევ კარგა ხანს. მაშ რა ჰქნასო, რომ ისაიას გოდებას მოჰყვნენ და დაიწყეს ცრუ-წინასწარმეტყველება? რატომ არ იფიქრეს, რომ ტყუილის მთქმელს მართალსაც აღარავინ დაუჯერებდა. ან რა ჩაიდინა თქვენმა უმორჩილესმა მოსამსახურემ ისეთი, რომ ასეთი აყალ-მაყალი ასტეხეს? ოთხი-ხუთი წელიწადია, რაც ჩამოვარდა ლაპარაკი, რომ ამ გიჟ მდინარეზედ ხიდი გადებულიყო ასაცილებლად ყოველსავე უბედურებისა. ბევრმა გამოიდო თავი და იქმნება ბევრმა გაპეიკებმაც წაიღო შემწირველთა ჭირი, მაგრამ ამას ვინღა გამოუდგება ახლა. ბოლოს, როგორც იყო, გავაკეთე ხიდი და ავისრულეთ ყველამ ეს ნატვრა. მე ჩემის მხრივ, დიდს მადლობას ვწირავ იმ თავად-აზნაურთ, რომელთაც თანაგრძნობა გაუწიეს 1892 წლის წარმოდგენას, რომლის შემოსავალიც ამ ხიდისთვის იყო გადადებული და რომელთაც ამას გარდა ხე-ტყეთ დახმარება აღმოუჩინეს ხიდის გაკეთების საქმეს. არ შემიძლიან ცხინვალსაც მადლობა არ გადუხადო, რადგანაც ფულად, რაც კი დავისაჭიროვეთ, იმან დაგვახარჯა. მადლობის ღირსია ის გლეხობაც, რომელიც ბეგარაში გამოსვლით, ურმით და ხარ-კამეჩით გვეხმარებოდა. იმაზედ სიტყვას აღარ გავაბამ, თუ რას უპირებდნენ ჩემნი მოწინააღმდეგენი ამ საცოდაობით აგებულს ხიდს, რის გამოც დღესაც-კი დარაჯი მყავს დაყენებული ხიდზედ ბოროტის ხელის ასაცილებლად. მაგრამ როდემდის!

ცხინვალის ბოქაული ე. გუგუშვილი

# დეპეშა

27 მაისი

**პეტერბურგი.** სახელ-დებულნი უმაღლესნი ბრძანებანი: 1) „საჭიროდ დავინახეთ, რომ უმთავრესი ყურადღება საიმპერატორო რეზიდენციების უვნებელობისათვის და აგრეთვე უმთავრესად თვალ-ყურის გდება უხიფათოდ უმაღლესის მგზავრობისათვის მივანდოთ იმ ცალკე კაცს, რომელსაც ჩვენ ვენდობით და ამიტომ ვუბრძანებთ გენერალ-ადიუტანტს ჩერევინს შეუდგეს ზემოხსენებულ თანამდებობის აღსრულებას და ამას იქით იწოდებოდეს ჩვენთან მყოფ მორიგ გენერლად გენერალ-ადიუტანტის წოდების შერჩენით და 2) ვუბრძანებთ დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს ფედოსეევს იყოს გამგე ჩვენთან მყოფ მორიგ გენერალის კანცელარიისა.

უმაღლესად ნაბრძანებია მოწოდებულ იქმნას 1894 წელს მხედრობისა და ფლოტის შესავსებლად 270,000 კაცი, მათ შორის ისინიც, ვინც წარმოადგენს წინანდელს სარეკრუტო კვიტანციებსაც; ყუბანისა და თერგის ოლქებისა და ამიერ-კავკასიის მკვიდრთაგან უნდა მოწოდებულ იქმნას 2400 კაცი, მათ შორის 100 ოსი.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატაში ილაპარაკა გუშინ გარეშე საქმეთა მინისტრმა განოტომ იმ კონვენციის გამო, რომელიც ახლა ხან დასდეს ერთმანეთში კონგოს სახელმწიფომ და ინგლისმა და აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განაწილებული იყოს მათ შორის გავლენა ნილოსის სათავეს მიდამოთა შორის, რამაც გამოიწვია პროტესტი საფრანგეთისა და გერმანიისა. განოტომ სთქვა, რომ ინგლის-კონგოს კონვენცია საერთაშორისო საქმესა ჰბადავს აფრიკაში და ეხება საფრანგეთის უფლებასაცაო, რომ საფრანგეთი უარ-ჰყოფს ინგლის-კონგოს კონვენციის არსებობას და თავისის მოქმედებით დაამტკიცებს, რომ შეუძლიან დაცვა თავის უფლებათა და რომ საფრანგეთის სამყოფელ ადგილთა დასაცველად უკვე გაგზავნილია ჯარები, რომელთა გასაძლიერებლად კვლავ სხვა ჯარებიც გაიგზავნებაო. პალატამ ერთხმად მოიწონა მთავრობის თქმული და გაკეთებული.

პეტერბურგის ბირჟა, 27 მაისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,48 | 7,51 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 149½ | 150½ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — , | 247¾ |
| —მეორისა | — ,, | — , | 225¾ |
| 4% მესამე სესხისა | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — , | — ,, | 190 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% | — ,, | 101½ | — ,, |
| 5% | — ,, | 101 | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6% | — ,, | 101½ | — ,, |
| 5% | — ,, | 100 | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99½ | — ,, | — ,, |


# განცხადებანი

ამ უკანასკნელს ტფილისის ბანკის კრებებზე შეცდომით სამხედრო შინელი შეუცვალეს ბ-ნს ფავლენიშვილს. ვსთხოვთ ვისაც წაუღია ზემოხსენებული შინელი უკანვე დააბრუნოს და თავისი შინელი მიიღოს.

3—1

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა (კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი**,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის.

**ე. ი. ფრანცუსი**, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერა-ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**ყვავილის ამცრელი ექიმი პროზოროვსკი** სდგას—ვერის ჩასავალს, ოსიპოვის მამულში.

აცრა და გასყიდვა ყვავილის ჩირქისა არის ყოველ დღე, დილის 8 საათიდან 10-მდე, და შუადღის შემდეგ 3 საათიდან 5-მდე.

გარეშე ადგილებიდანაც, შეიძლება ჩირქის დაბარება, რაიცა გაგზავნილი იქნება საჩქაროდ და სუფთად.

(12—12)

გამგეობა ტფილისის საზოგადოებისა ცეცხლისაგან ურთიერთის ქონებათა დაზღვევისა

ამით აუწყებს ბ ნთ წევრთ ამა საზოგადოებისას, რომ კვირას, 29 მაისს, დილის 10 საათზედ, ქალაქის საპჯოს დარბაზში

**იქნება საგანგებო საზოგადო კრება**

ქვემოდ აღნიშნულის საგნების განსახილველად:

1) წინადადება ზედამხედველ კომიტეტისა იმ წესის დადგინების შესახებ, რომ 15% გადაიდვას ორის დირექტორის სასარგებლოდ თანასწორად ყოველ ახლად დაზღვევიდგან საოპერაციო წელიწადში.

2) წინადადება დამზღვეველის ნ. ი. თამამშოვისა ვენახის პატრონებთან ქვემო აღნიშნულ საგანთა შესახებ:

ა) ქალაქი თავმდები იყო საზოგადოებისა, 50,000 მანეთ.-კი არა, 100,000 მანეთისა; (საჭიროა დაესწროს ნახევარი რიცხვი დამზღვეველთა);

ბ) საზოგადოების ხარჯთ-აღრიცხვის შეცვლა;

გ) ცეცხლის მქრობელ რაზმის დაჯილდოვება ფულით;

დ) შუამდგომლობა იქმნას აღძრული იმის შესახებ, რომ საზოგადოებას შეეძლოს სახელმწიფო ფოდრაჟების პოლისების გირაოდ მიღება;

ე) ანგარიშების ბეჭდვა გაზეთებში და

ვ) ამორჩევა კომისიისა, რომელმაც საშუალება უნდა მოიპოვოს საზოგადოების საქმეების გასავრცელებლად და იმის შესახებ, რომ დაზღვევა სავალდებულოდ იქმნას.

3) წინადადება დამზღვეველ წევრისა პ. კ. იზმაილოვის რწმუნებით იმის შესახებ, რომ შეღავათით იქმნას დაზღვეული ის ქონებანი, რომელნიც დაგირავებულია წინანდელს პრიკაზში.

4) ამორჩევა გამგეობის წევრის ერთის კანდიდატისა ი. ა. თაიროვის ნაცვლად, რომელმაც ამ თანამდებობას თავი დაანება, რადგან ქალაქის საპჯომ ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარედ ამოირჩია. (2—2)


Доз. ценз Тифлисъ, 28-го Мая 1894 г. სტამბა შ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორი-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.